CAUCASIAN MINING GROUP LLC
CMG
შპს კავკასიის სამთო ჯგუფი

№ 45. 14.03.22ნ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ოთარ შამუგიას

ბატონო ოთარ,

გაცნობებთ, რომ შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი" გეგმავს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, იმედის ოქრო-მცირე სულფიდური საბადოს ფარგლებში - სოფ. აკაურთას და სოფ. გეტას მიმდებარედ არსებული ტერიტორიის გამოყენებას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებულია სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" საკუთრებაში არსებული 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ტანძია" და ტერიტორიაზე დაგეგმილი სამუშაოების დაწყებამდე, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, ზემოაღნიშნული ეგხ-ის გარკვეული მონაკვეთის, კერძოდ N69 ანძიდან N85 ანძამდე განთავსებული მონაკვეთის, სამთო სამუშაოების წარმოებისთვის განკუთვნილი ტერიტორიიდან უსაფრთხო მანძილზე გადატანა.

პროექტი ითვალისწინებს, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფ. აკაურთას და სოფ. გეტას მიმდებარედ არსებული 110 კვ ეგხ „ტანძიას" N69-N85 ანძებს შორის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობას.

"გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის (ზ ოგადი დებულებანი) მოთხოვნების მიხედვით: გზშ-ს ექვემდებარება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც ამ კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის შესაბამისად მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გზშ-ს.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის 3.4. ქვეპუნქტის მიხედვით: „35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, 110 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის ქვესადგურის განთავსება".

ამავე კოდექსის, მე-7 მუხლის მე-13 პუნქტის მიხედვით, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

№ 5795
"16" 03 2022
2/5 +3C

ს/კ: 404908775. იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ყიფშიძის ქ. №6.
საფოსტო მისამართი: 0171, ქ. თბილისი, ალექსიძის ქუჩა №1/III შესახვევი, კორპუსი №9, ტელ: +995 599 57 55 11, +995 595 90 81 47, ელ. ფოსტა: info@cmg.ge
ID Code: 404908775. Legal Address: 6 Kipshidze Street, Tbilisi, Georgia. Postal address: 0171, 1 Aleksidze street/3rd lane, Tbilisi, Georgia.
Phone: +995 599 57 55 11, +995 595 90 81 47, E-mail: info@cmg.ge

აღნიშნულიდან გამომდინარე შპს „კავკასიის სამთო ჯგუფმა“ სკოპინგის განცხადებით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და 2022 წლის 23 თებერვლის N2-134 ბრძანებით მიიღო სკოპინგის დასკვნა (N6; 17.02.2022).

სკოპინგის დასკვნის შესაბამისად მომზადებული იქნა პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე - 10 და მე - 11 მუხლების საფუძველზე წარმოგიდგენთ 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი ,,ტანძიას"-N69 ანძიდან - N85 ანძამდე მონაკვეთში საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გთხოვთ კანონით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

წინამდებარე განცხადებას თან ერთვის საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული საჭირო დოკუმენტაცია.

დანართი

1. 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი ,,ტანძიას"-N69 ანძიდან - N85 ანძამდე მონაკვეთში საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობის გზშ-ის ანგარიშს - 2 ეგზემპლარი ნაბეჭდი და ელ. ვერსია (1 CD);

2. არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი და ელ. ვერსია (1 CD);

3. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

4. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გზშ-ის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

5. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ჯონდო შუბითიძე